

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №17

ქ.თბილისი

20.11.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ზაჩანა შენგელია - საბჭოს თავმჯდომარე;

დიმიტრი ალაფიძე - საბჭოს მდივანი;

ზაზა ლაზარაშვილი - წევრი;

ზაქარია შველიძე - წევრი;

ირაკლი გამყრელიძე - წევრი;

მადონა ჭეიშვილი - წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

კახაბერ ერაძე;

დავით ბოსტოღანაშვილი;

დავით გუბელაძე;

მაია ხურცილავა;

ნანა ფრუიძე;

ანა ჟორჯოლიანი;

ნინო ქიქერიძე.

შპს - ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენლები:

ინგა მანაშერიძე - დირექტორი;

ეკა ლუაშვილი - იურიდიული სამსახური;

მერი გაბედავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენელი:

ჯუმბერ ვარდმანიძე - ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის წარმომადგენლები:

რუსუდან ლორთქიფანიძე - რექტორი.

მანანა მიქაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლები:

ნინო ლაღანიძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

მანანა ტაბიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლები:

რეზო კიკნაძე - რექტორი;

ლელია მარუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;



თამარ ჩხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მარინა ქავთარაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ქეთევან კბილაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კურატორი.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მაია ამაშუკელი - ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლის დირექტორი;
გიორგი ლომიძე - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
კახაბერ თავზარაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის სკოლის დირექტორი.

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თამარ კაკუტია - პროფესიული პროგრამების კოორდინატორი;
რუსუდან ჩართოლანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ანა ბოკუჩავა - ხარისხის სამსახური.

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

გულნაზი გალდავა - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ვასილ კიკუტაძე - ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
პაატა ტურავა - სამართლის სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
დევი ზედელიანი - სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
გია დეკანოზიშვილი - სამართლის სკოლის სრული პროფესორი, კრიმინალისტიკის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

კახაბერ კორძაია - რექტორი
მარინა გედევანიშვილი - რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
ირმა ნოზაძე - ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
მეჩი ლომაჯიძე - სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სოლომონ პავლიაშვილი - რექტორი;
მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
დევი ზედელიანი - სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:20 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

- [illegible]

25. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
27. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
28. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
29. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
30. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
31. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
32. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
33. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
34. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
35. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
36. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
37. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
38. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
39. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
40. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
41. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
42. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მეცხოველეობის პროდუქციის ნედლეულის წარმოებისა და პირველადი დამუშავების დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
43. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
44. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
45. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
46. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭილაძემ საბჭოს გააცნო ა(ა)იპ - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შუამდგომლობა სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის დღის წერიგის ბოლო საკითხებად განხილვის შესახებ.

საბჭომ იმსჯელა დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ და ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი განახლებული სახით:

- [illegible]

1. შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის (ინგლისურენოვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის (ინგლისურენოვანი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის (ინგლისურენოვანი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო პროგრამაში დამატოს ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით). აღნიშნული კურსი სტუდენტებს უკეთ მოამზადებს სწავლების შემდგომი საფეხურისათვის;
- სასურველია, მოსმენის კომპონენტის გაძლიერება, სტუდენტებისათვის უფრო მრავალფეროვანი აუდიო მასალის შეთავაზება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას ქართული ენის სპეცკურსის დამატებასთან დაკავშირებით, თუმცა, ამის პრაქტიკაში განხორციელება პრობლემური იყო მისი სპეციფიურობიდან გამომდინარე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომელიც სხვადასხვაგვარადაა ფორმულირებული თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამაში (პროგრამა ითხოვს შემოქმედებით კონკურსში გასვლას, თვითშეფასების ანგარიში კი - არა. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი პირობა არ არსებობს);
- პროგრამის მიზანში მითითებულია, რომ „მოსამზადებელი საფეხურის გავლის შემდეგ მათ უნდა შეეძლოთ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელება“. სასურველია, დაკონკრეტებული იყოს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას საბაკალავრო პროგრამაზე დასაშვებად საჭირო B1 დონეზე;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნებისა და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მათი შემდგომი დახვეწისა და დაზუსტების მიზნით;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების შედეგები უფრო დაწვრილებით იყოს გაწერილი. კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ჩაშლილი იყოს პუნქტებად: „მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა“;
- სასურველია, სწავლების პროცესში მეტი ფოკუსირება მოხდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) კომპონენტით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებაზე;
- შეფასების მეთოდები ყველა სასწავლო კურსისასათვის არის ერთგვაროვანი; სასურველია, შეფასების კრიტერიუმი მორგებული იყოს საგნის სპეციფიკაზე და, შესაბამისად, იყოს უფრო მრავალფეროვანი;
- სილაბუსებში მითითებულია, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის აუცილებელია მინიმუმ 11 ქულის დაგროვება (10 ქულა შუალედური შეფასებიდან და 1 ქულა სხვა შუალედური აქტივობებიდან.) მიზანშეწონილია 11 ქულის დაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს პარიტეტის პრინციპი;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს ნაწილობრივ უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, სილაბუსებში შეთავაზებული იყოს კონტიგენტზე მორგებული და თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს და აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებები აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი, მადონა ჭიჭიშვილი დაინტერესდა რეკომენდაციით, რომელიც შეეხებოდა სწავლების პროცესში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) კომპონენტით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებაზე მეტ ფოკუსირებას.

დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტმა ნანა ფრუიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია დაწესებულებას, მეტი ფოკუსირება ყოფილიყო აღნიშნულ კომპონენტზე, თუმცა, ამის მიუხედავად ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნები მიღწევადი იყო. ასევე, დააკონკრეტა პირველ და მეორე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომ აქ წმინდა ხასიათის ტექნიკურ უზუსტობას ჰქონდა ადგილი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება არ იყო განახლებული, არასწორი ვარიანტი იქნა

წარმოდგენილი, ინგლისური ენის ცოდნის B 2 დონე კი თავისთავად გულისხმობს B 1 დონესაც, ამდენად, მხოლოდ და მხოლოდ რეკომენდაცია გაეწია დაწესებულებას, რომ ეს ტექნიკური ხაისათს უზუსტობები გაეწორებინათ. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი ექსპერტმა დააკონკრეტა, რომ აქ საუბარი არ იყო სწავლების მაღალ დონეზე საუბრისა და გაგების უნარი საკმარისი იყო. ასევე გაეწია დაწესებულებას რეკომენდაცია, რომ საგამოცდო კომპონენტი ყოფილიყო კომბინირებული სახით წარმოდგენილი, აუცილებელი იყო წერითი კომპონენტი, მაგრამ ასევე საინტერესო იქნებოდა გამოთქმის გაგებაც. მთლიანობაში, ექსპერტებს კარგი შთაბეჭდილება დარჩათ და დაწესებულებას მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო სახის რჩევები მიეცა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. ა(ა)იპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია შუალედური გამოცდების უფრო ეფექტურად განაწილება. (მაგ.: ზოგიერთ სილაბუსში ან არ არის მითითებული, როდის ტარდება შუალედური გამოცდები (მაგ.: ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა), ან მეორე შუალედური შეფასება უშუალოდ ფინალური გამოცდის წინაა დაგეგმილი (მაგ.: ორთოგრაფია-ორთოეპია; ენის კომუნიკაციური ასპექტები). ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შუალედური შეფასება სემესტრის დასრულებამდე მინიმუმ 2 მეცადინეობით ადრე უნდა ჩატარდეს, რათა სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს, გაითვალისწინოს დაშვებული შეცდომები და უკეთ მოემზადოს ფინალური გამოცდისათვის.

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კომპონენტებში განსაზღვრული შედეგები უფრო დაწვრილებით იყოს გაწერილი. კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ჩაშლილი უნდა იყოს პუნქტებად: „მოსმენა, კითხვა ლაპარაკი, წერა“.

- შეფასების მეთოდები თითქმის ყველა საგნისათვის არის ერთგვაროვანი. სასურველია, შეფასების კრიტერიუმში მორგებული იყოს საგნის სპეციფიკაზე და, შესაბამისად, იყოს უფრო მრავალფეროვანი.

- სასწავლო კურსების მიზნები ზოგ შემთხვევაში დასახვეწი და დასაკონკრეტებელია. (მაგ.: ფუნქციური წერის სილაბუსში ნათქვამია, რომ საგნის მიზანია „ფუნქციური ტექსტების წაკითხვა, აღქმა და გამართულად დაწერა B2 დონის შესაბამისად“).

- სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხის დაზუსტება (მაგ.: ფუნქციური წერისათვის მხოლოდ ა. არაბულის „მეტყველების კულტურა“ მითითებული). ასევე, კარგი იქნება, თუ ყველა საგნის სილაბუსში იქნება თემატურად გაწერილი დასამუშავებელი მასალა (მაგ.: კითხვა, ზეპირმეტყველება).

- სასურველია, უფრო მკვეთრად იყოს გამოიჯნული საგნების შინაარსობრივი მხარე (მაგ.: წერითი მეტყველება, პრაქტიკული გრამატიკა და ფუნქციური წერა თემატიკის თვალსაზრისით გარკვეულწილად ფარავს ერთმანეთს);

- სასურველია, სასწავლო მასალა ყოველთვის ამომწურავად იყოს სილაბუსში მოწოდებული (მაგ.: ლექსიკა და კითხვა - არაა მითითებული, კონკრეტულად რომელი ტექსტების დამუშავება მოუხდებათ სტუდენტებს);

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, სილაბუსებში შეთავაზებული იყოს კონტიგენტზე მორგებული უახლესი ლიტერატურა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

- თსაა-ს ვებ-გვერდზე და ასევე, შესაბამის შიდამარეგულირებელ დოკუმენტებში მითითებულია, რომ ფინალურ გამოცდაზე დაშვებისათვის მინიმუმ 11 ქულის მოგროვებაა საჭირო. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, კარგი იქნება, თუკი ეს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებშიც იქნება ჩაწერილი სტუდენტებისათვის მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული ჰქონდა. კერძოდ, გაითვალისწინეს ექსპერტის რეკომენდაცია სილაბუსებთან დაკავშირებით, მსგავს ფაქტს ადგილი მხოლოდ ერთი სილაბუსის შემთხვევაში ჰქონდა და ისიც უკვე გამოასწორეს. ასევე, აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში არ იყო აუცილებელი ლიტერატურის მრავალფეროვანი სახით წარმოდგენა, ამ შემთხვევაში ამჯობინეს შემოფარგულებიერ ერთი წიგნით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია უცხო ქვეყნის მოქალაქე კურსდამთავრებულთა მონიტორინგის ეფექტური სისტემის შემუშავება;
- სასურველია მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმის შემდგომი დეტალიზაცია, კერძოდ იმ მაგისტრთა მინიმალური ოდენობის დადგენა, რომელთა შემთხვევაში პროგრამის გახსნა ფინანსურად დასაბუთებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა რეკომენდაცია პროგრამის ფინანსური გეგმის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ექსპერტებმა ინფორმაცია მიიღეს, თუმცა, სასურველი იყო უფრო ზუსტად ყოფილიყო გაწერილი, მაგალითად, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საკმარის რაოდენობის სტუდენტები არ ჩაირიცხებოდნენ პროგრამაზე, შეძლებდა თუ არა დაწესებულება მათთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას. თუმცა, აღნიშნული ექსპერტებს შემუშავებული ჰქონდათ, როგორც რეკომენდაცია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინჟინერიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ლაბორატორიული ბაზა. კარგი იქნება, თუ იგი მომავალში პერმანენტულად კიდევ უფრო განახლებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინჟინერიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინჟინერიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დამაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებია:

- დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული პროგრამის ბიუჯეტის სამუშაო ვერსია არსებობს, თუმცა არ არის დამტკიცებული, შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი. დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-11 მუხლის „ე“) პუნქტი.

- დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით შიდა და გარე შეფასება მომავალში გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-12 მუხლი.

-

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ შორის სასწავლო პრაქტიკა, ისწავლება პარალელურ რეჟიმში, თუმცა შედეგების უფრო უკეთ მიღწევისათვის, რეკომენდირებულია პროფესიული პროგრამის კურაციული სისტემით დაგეგმვა;

- პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ორ შუალედურ შეფასებას (30 ქულა+30 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). სასურველია, სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენებისას და სასწავლო პრაქტიკის შეფასების დროს პროფესიული სტუდენტის მიღწევის ინტენსიური შეფასება.

- მიზანშეწონილია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (მისია, გეგმები, სამართლებრივი აქტები, პროფესიული სტუდენტის სტასუსის მარეგულირებელი წესები) არ ატარებდეს ზოგად ხასიათს და უფრო მკაფიოდ ასახავდეს პროფესიული განათლების სპეციფიკას.

- სასურველია, პროფესიული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურები, რომლებიც ფაქტობრივად დაწესებულებაში ხორციელდება, ასევე იყოს გაწერილი და წარმოდგენილი დოკუმენტირებული სახით“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველი ლექცია პრაქტიკით იწყება და აღნიშნული სილაბუსშიც ჰქონდათ გაწერილი. კოლეჯს აქვს დასაქმების კარგი მაჩვენებელი (კურსდამთავრებულთა 73% დასაქმებულია). პრაქტიკულად, სტუდენტები სწავლის დაწყებიდან 2 დღის შემდეგ უკვე სამზარეულოში იწყებენ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული კარგად აპრობირებული პრაქტიკა გახლდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ხარვეზით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს როგორც ცალკე დოკუმენტი არ ჰქონიათ დამტკიცებული, დღეისათვის კი შეეძლოთ საბჭოსათვის წარედგინათ დამტკიცებული სახით. გარდა ამისა, დაწესებულებას ერთ-ერთ პროგრამაზე, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა მაშინ პრობლემატურად არ მიჩნია აღნიშნული გარემოება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაწესებულების მთლიან ბიუჯეტში იყო თუ არა პროგრამის შესახებ ცალკე მუხლი, გარკვევით ჩანდა თუ არა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო პროგრამული მიმართულების დაფინანსება და არა განცალკევებულად - პროგრამის.

თავმჯდომარემ ითხოვა განმარტების გაკეთება ცენტრის წარმომადგენლისგან, საბჭო იყო თუ არა უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ შექმნილი დოკუმენტი და ასევე, პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე სტანდარტთან მიმართებით განმარტება.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო არ იყო უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შექმნილი დოკუმენტი, ამ შემთხვევაში პროგრამის ბიუჯეტი. ასევე განმარტა, რომ სტანდარტის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის ქონის აუცილებლობა ცალსახად არ განისაზღვრება, სტანდარტი მიუთითებს, რომ აუცილებელია არსებობდეს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ხოლო იმის შეფასება, რეალურად არსებობდა თუ არა კონკრეტული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ექსპერტის პრეროგატივა გახლდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ წესების დარღვევა რა მიმართებაში იყო აკრედიტაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან. გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ თუ დადგინდებოდა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის არასაკმარისობა, ეს ნიშნავდა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი დარღვეული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაწესებულებას უფლება ჰქონდა გამოეწვრებინა ხარვეზი და მიუთითოთ კოდექსის შესაბამის მუხლზე, რომლის თანახმადაც, წარმოება უნდა დასრულებულიყო სხდომით. ამასთან, ბიუჯეტი ცალკე დოკუმენტის სახით არ ჰქონდათ დამტკიცებული, რადგან სტანდარტს მოთხოვნა ჰქონდა ზოგადად, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ, მას შემდეგ კი რაც ექსპერტისგან შესაბამისი განმარტება მიიღეს, პროგრამის ბიუჯეტი დაამტკიცეს ცალკე დოკუმენტის სახითაც. ამასთან, დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამის ამოქმედებაში მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები ჩაიდო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათი მხრიდან ცდილობდნენ მაქსიმალურად უზრუნველყოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, დაწესებულება მზად იყო მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რისი დამატება შეეძლო დაწესებულებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ნამდვილად ფაქტიურად მიმდინარეობდა ყველა პროცესი. ამასთან, მათი დოკუმენტირება ძალიან ცუდად ხდებოდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი ყველა გარემოების გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ, თავმჯდომარემ დამატებით დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ეთანხმება აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობას და მოუწოდა დაწესებულებას მათი გათვალისწინებისაკენ. ასევე, მიმართა ექსპერტებს, მკაფიოდ გაემიჯნათ ერთმანეთისაგან რეკომენდაციები და ხარვეზები და მკაფიოდ დაესაბუთებინათ სტანდარტებთან თითოეული პარამეტრის შეუსაბამობა.

დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტმა, თეა ნადირაძემ გააკეთა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ მის მიერ მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა-გამოვლენა მოხდა, ხოლო მისი სტანდარტთან შესაბამისობა საბჭოს უნდა დაედგინა.

თავმჯდომარის განმარტებით, საბჭოს თხოვნა სწორედ ის იყო, ექსპერტს სტანდარტთან შესაბამისობა დაედგინა ფაქტობრივად შესწავლილ მონაცემებზე დაყრდნობით.

8. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებია:

- დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული პროგრამის ბიუჯეტის სამუშაო ვერსია არსებობს, თუმცა არ არის დამტკიცებული, შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი. დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-11 მუხლის „ე“ პუნქტი.
- დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით შიდა და გარე შეფასება მომავალში გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-12 მუხლი.

-

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ შორის სასწავლო პრაქტიკა, ისწავლება პარალელურ რეჟიმში, თუმცა შედეგების უფრო უკეთ მიღწევისათვის, რეკომენდირებულია პროფესიული პროგრამის კურაციული სისტემით დაგეგმვა;
- პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ორ შუალედურ შეფასებას (30 ქულა+30 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). სასურველია, სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენებისას და სასწავლო პრაქტიკის შეფასების დროს პროფესიული სტუდენტის მიღწევის ინტენსიური შეფასება.
- მიზანშეწონილია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (მისია, გეგმები, სამართლებრივი აქტები, პროფესიული სტუდენტის სტასუსის მარეგულირებელი წესები) არ ატარებდეს ზოგად ხასიათს და უფრო მკაფიოდ ასახავდეს პროფესიული განათლების სპეციფიკას.
- სასურველია, პროფესიული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურები, რომლებიც ფაქტობრივად დაწესებულებაში ხორციელდება, ასევე იყოს გაწერილი და წარმოდგენილი დოკუმენტირებული სახით“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველი ლექცია პრაქტიკით იწყება და აღნიშნული სილაბუსშიც ჰქონდათ გაწერილი. კოლეჯს აქვს დასაქმების კარგი მაჩვენებელი (კურსდამთავრებულთა 73% დასაქმებულია). პრაქტიკულად, სტუდენტები სწავლის დაწყებიდან 2 დღის შემდეგ უკვე სამზარეულოში იწყებენ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული კარგად აპრობირებული პრაქტიკა გახლდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ხარვეზით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს როგორც ცალკე დოკუმენტი არ ჰქონიათ დამტკიცებული, დღეისათვის კი შეეძლოთ საბჭოსათვის წარედგინათ დამტკიცებული სახით. გარდა ამისა, დაწესებულებას ერთ-ერთ პროგრამაზე, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა მაშინ პრობლემატურად არ მიჩნია აღნიშნული გარემოება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაწესებულების მთლიან ბიუჯეტში იყო თუ არა პროგრამის შესახებ ცალკე მუხლი, გარკვევით ჩანდა თუ არა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით,

ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო პროგრამული მიმართულების დაფინანსება და არა განცალკევებულად - პროგრამის.

თავმჯდომარემ ითხოვა განმარტების გაკეთება ცენტრის წარმომადგენლისგან, საბჭო იყო თუ არა უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ შექმნილი დოკუმენტი და ასევე, პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე სტანდარტთან მიმართებით განმარტება.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო არ იყო უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შექმნილი დოკუმენტი, ამ შემთხვევაში პროგრამის ბიუჯეტი. ასევე განმარტა, რომ სტანდარტის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის ქონის აუცილებლობა ცალსახად არ განისაზღვრება, სტანდარტი მიუთითებს, რომ აუცილებელია არსებობდეს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ხოლო იმის შეფასება, რეალურად არსებობდა თუ არა კონკრეტული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ექსპერტის პრეროგატივა გახლდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ წესების დარღვევა რა მიმართებაში იყო აკრედიტაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან. გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ თუ დადგინდებოდა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის არსაკმარისობა, ეს ნიშნავდა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი დარღვეული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაწესებულებას უფლება ჰქონდა გამოეცხადებინა ხარვეზი და მიუთითებდა კოდექსის შესაბამის მუხლზე, რომლის თანახმადაც, წარმოება უნდა დასრულებულიყო სხდომით. ამასთან, ბიუჯეტი ცალკე დოკუმენტის სახით არ ჰქონდათ დამტკიცებული, რადგან სტანდარტს მოთხოვნა ჰქონდა ზოგადად, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ, მას შემდეგ კი რაც ექსპერტისგან შესაბამისი განმარტება მიიღეს, პროგრამის ბიუჯეტი დაამტკიცეს ცალკე დოკუმენტის სახითაც. ამასთან, დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამის ამოქმედებაში მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები ჩაიდო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათი მხრიდან ცდილობდნენ მაქსიმალურად უზრუნველყოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, დაწესებულება მზად იყო მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რისი დამატება შეეძლო დაწესებულებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ნამდვილად ფაქტიურად მიმდინარეობდა ყველა პროცესი. ამასთან, მათი დოკუმენტირება ძალიან ცუდად ხდებოდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი ყველა გარემოების გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებია:

- დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული პროგრამის ბიუჯეტის სამუშაო ვერსია არსებობს, თუმცა არ არის დამტკიცებული, შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი. დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-11 მუხლის „ე“) პუნქტი.
- დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით შიდა და გარე შეფასება მომავალში გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-12 მუხლი.

-

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ შორის სასწავლო პრაქტიკა, ისწავლება პარალელურ რეჟიმში, თუმცა შედეგების უფრო უკეთ მიღწევისათვის, რეკომენდირებულია პროფესიული პროგრამის კურსიული სისტემით დაგეგმვა;
- პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ორ შუალედურ შეფასებას (30 ქულა+30 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). სასურველია, სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენებისას და სასწავლო პრაქტიკის შეფასების დროს პროფესიული სტუდენტის მიღწევის ინტენსიური შეფასება.
- მიზანშეწონილია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (მისია, გეგმები, სამართლებრივი აქტები, პროფესიული სტუდენტის სტასუსის მარეგულირებელი წესები) არ ატარებდეს ზოგად ხასიათს და უფრო მკაფიოდ ასახავდეს პროფესიული განათლების სპეციფიკას.
- სასურველია, პროფესიული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურები, რომლებიც ფაქტობრივად დაწესებულებაში ხორციელდება, ასევე იყოს გაწერილი და წარმოდგენილი დოკუმენტირებული სახით“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველი ლექცია პრაქტიკით იწყება და აღნიშნული სილაბუსშიც ჰქონდათ გაწერილი. კოლეჯს აქვს დასაქმების კარგი მაჩვენებელი (კურსდამთავრებულთა 73% დასაქმებულია). პრაქტიკულად, სტუდენტები სწავლის დაწყებიდან 2 დღის შემდეგ უკვე სამზარეულოში იწყებენ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული კარგად აპრობირებული პრაქტიკა გახლდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ხარვეზით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს როგორც ცალკე დოკუმენტი არ ჰქონიათ დამტკიცებული, დღეისათვის კი შეეძლოთ საბჭოსათვის წარედგინათ დამტკიცებული სახით. გარდა ამისა, დაწესებულებას ერთ-ერთ პროგრამაზე, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა მაშინ პრობლემატურად არ მიჩნია აღნიშნული გარემოება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაწესებულების მთლიან ბიუჯეტში იყო თუ არა პროგრამის შესახებ ცალკე მუხლი, გარკვევით ჩანდა თუ არა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო პროგრამული მიმართულების დაფინანსება და არა განცალკევებულად - პროგრამის.

თავმჯდომარემ ითხოვა განმარტების გაკეთება ცენტრის წარმომადგენლისგან, საბჭო იყო თუ არა უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ შექმნილი დოკუმენტი და ასევე, პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე სტანდარტთან მიმართებით განმარტება.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო არ იყო უფლებამოსილი მხედველობაში მიეღო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შექმნილი დოკუმენტი, ამ შემთხვევაში პროგრამის ბიუჯეტი. ასევე განმარტა, რომ სტანდარტის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის ქონის აუცილებლობა ცალსახად არ განისაზღვრება, სტანდარტი მიუთითებს, რომ აუცილებელია არსებობდეს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ხოლო იმის შეფასება, რეალურად არსებობდა თუ არა კონკრეტული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, ექსპერტის პრეროგატივა გახლდათ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ წესების დარღვევა რა მიმართებაში იყო აკრედიტაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან. გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ თუ დადგინდებოდა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის არასაკმარისობა, ეს ნიშნავდა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი დარღვეული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაწესებულებას უფლება ჰქონდა გამოეწვრობინა ხარვეზი და მიუთითოთ კოდექსის შესაბამის მუხლზე, რომლის თანახმადაც, წარმოება უნდა დასრულებულიყო სხდომით. ამასთან, ბიუჯეტი ცალკე დოკუმენტის სახით არ ჰქონდათ დამტკიცებული, რადგან სტანდარტს მოთხოვნა ჰქონდა ზოგადად, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ, მას შემდეგ კი რაც ექსპერტისგან შესაბამისი განმარტება მიიღეს, პროგრამის ბიუჯეტი დაამტკიცეს ცალკე დოკუმენტის სახითაც. ამასთან, დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამის ამოქმედებაში მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები ჩაიდო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათი მხრიდან ცდილობდნენ მაქსიმალურად უზრუნველყოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, დაწესებულება მზად იყო მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რისი დამატება შეეძლო დაწესებულებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ნამდვილად ფაქტიურად მიმდინარეობდა ყველა პროცესი. ამასთან, მათი დოკუმენტირება ძალიან ცუდად ხდებოდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი ყველა გარემოების გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის კომპონენტებისათვის გამოყოფილი კრედიტები 5-ის ტოლია ან მისი ჯერადი. სასურველია პროგრამის შედგენისას სასწავლებელმა თავი არ შეიკავოს კრედიტების რაოდენობის დიფერენციაციისაგან, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო მიზნობრივ გადანაწილებას.

- პრაქტიკის კომპონენტის შეფასების პროცესში დამსაქმებლების/დარგის სპეციალისტების მონაწილეობა ფაქტობრივად დასტურდება, თუმცა რეგულაციები არ ითვალისწინებს მათი ჩართულობის სავალდებულობას. სასურველია, გარედან დარგის სპეციალისტების ჩართულობა არ იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე.

- მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის შემოწმების შედეგების ანალიზი სტუდენტებთან ფაქტობრივად ხდება და ეს დადგენილი პრაქტიკაა, სილაბუსი არ ითვალისწინებს გამოცდის შემდეგ გარკვეულ დროს ასეთი აქტივობისთვის. რეკომენდირებულია ეს აქტივობა სილაბუსში აისახოს ან გამოიცეს ფორმალური დოკუმენტი, რაც აღნიშნულ პრაქტიკას სავალდებულოს გახდის.

- სასურველია, უნივერსიტეტმა აღრიცხოს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის საათები, რისთვისაც უნდა დაინერგოს რაიმე სახის ფორმა (მაგალითად უწყისი), სადაც მასწავლებელი და სტუდენტი ხელმოწერით დაადასტურებენ ინდივიდუალური მუშაობის ჩატარების ფაქტს და ხანგრძლივობას. ეს ფორმა ასევე გახდება მასწავლებლისათვის ინდივიდუალური მუშაობის ანაზღაურების საფუძველი.

თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა განმარტების გაკეთება რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი შეფასებით, ეს ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა იყო და მათი მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებებს წმინდა სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა. ექსპერტები არ ითხოვდნენ, რომ გამოცდაში დამსაქმებელიც სავალდებულო სახით ყოფილიყო ჩართული, თუმცა, თუ მათ აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემოდათ, ეს ნამდვილად გააუმჯობესებდა პროგრამის ხარისხს. გარდა ამისა, სტუდენტებიც ადასტურებდნენ, რომ ინდივიდუალურ მუშაობას ჰქონდა ადგილი, ამასვე ადასტურებდა პროფესორის დატვირთვის სქემები, თუმცა, ხელფასებში თუ მის ავტომატურ გადატანას არ ექნებოდა ადგილი, უმჯობესი იქნებოდა. ანუ, ლექტორებს კონკრეტულად ინდივიდუალურ მუშაობაში დახარჯული საათების რეალური რაოდენობა აუნაზღაურებოდათ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია, პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს და პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, რაც პრაქტიკული უნარების განვითარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა განმარტების გაკეთება. ექსპერტმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განმარტა რომ რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში პრაქტიკული უნარების განვითარების მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ სტუდენტებს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა სპეციალიზაციის მიღების საშუალება თუ ჰქონდათ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია იყო საერთო - სამართლის მაგისტრი, ამასთან სპეციალიზაციის შესაძლებლობა პროგრამაში წარმოდგენილი იყო თითოეულ სპეციალიზაციაში კონცენტრაციის მოდულების სახით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები/რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

14. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია, პროგრამა აგებული იყოს major-minor-ის პრინციპით, რაც სტუდენტს მისცემს შანსს აითვისოს დამატებითი პროგრამა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაში 240 კრედიტიდან 68 კრედიტი იყო არჩევითი, 30 კრედიტის აღება სტუდენტს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან შეეძლო, დანარჩენი არჩევითი კრედიტები კი სპეციალიზაციის სასწავლო კურსებიდან უნდა აეთვისებინა. არჩევითობის პრინციპი დაცული იყო. სტუდენტს შეეძლო თავად შეექმნა თავისი პორტფოლიო. მისი თქმით, უნივერსიტეტი ასევე გეგმავდა სტუდენტებისათვის მაინორ პროგრამის შეთავაზებას და აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება შესაძლებელი იყო მომავალში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

15. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები/რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი/ფინანსები/ტურიზმი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ მითითება გააკეთა დაწესებულების სააკრედიტაციო განაცხადზე, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი/ფინანსები/ტურიზმი) საბაკალავრო პროგრამა განხორციელებულიყო მიღევად რეჟიმში. მან მიუთითა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ან ამ კანონის 66¹-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის 5 წელზე ნაკლები ვადით აკრედიტაციის შესახებ.

ამასთან, მისი განმარტებით, აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები ვრცელდებოდა მხოლოდ აღნიშნულ სტუდენტებზე. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი საბჭოს რეკომენდაციას უწევდა, ამ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი/ფინანსები/ტურიზმი) საბაკალავრო საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულიყო 2 წლის ვადით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავ იმისა, რომ ცოდნის შემოწმების შედეგების ანალიზი სტუდენტებთან ფაქტობრივად ხდება და ეს დადგენილი პრაქტიკაა, სილაბუსი არ ითვალისწინებს გამოცდის შემდეგ გარკვეულ დროს ასეთი აქტივობისათვის. რეკომენდირებულია, ეს აქტივობა სილაბუსში აისახოს ან გამოიცეს ფორმალური დოკუმენტი, რაც აღნიშნულ პრაქტიკას სავალდებულოს გახდის.

- სასურველია, უნივერსიტეტმა აღრიცხოს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის საათები, რისთვისაც უნდა დაინერგოს რაიმე სახის ფორმა (მაგალითად უწყისი), სადაც მასწავლებელი და სტუდენტი ხელმოწერით დაადასტურებენ ინდივიდუალური მუშაობის ჩატარების ფაქტს და ხანგრძლივობას. ეს ფორმა ასევე გახდება მასწავლებლისათვის ინდივიდუალური მუშაობის ანაზღაურების საფუძველი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე სტუდენტები უკვე ჩარიცხულები იყვნენ და ამდენად, მათი სურვილი იყო აკრედიტაციის 2 წლით მიღება, იმისთვის, რათა სტუდენტებს შესაძლებლო მისცემოდათ დაესრულებინათ პროგრამა. პირველ კურსელებს შესთავაზებდნენ სხვა აკრედიტებულ პროგრამაზე გადასვლას, ხოლო მეოთხე კურსელებისათვის ესაჭიროებოდათ აკრედიტაციის გავლა ამ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი/ფინანსები/ტურიზმი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 7¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი/ფინანსები/ტურიზმი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

17. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია, პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს და პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, რაც პრაქტიკული უნარების განვითარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

18. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს და პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, მათ შორის თეორიული კურსების ფარგლებში რაც პრაქტიკული უნარების განვითარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით სასურველია გაძლიერდეს უცხოენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხოენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით.

- სასურველია, სასწავლო კურსების ფარგლებში, გაიზარდოს საკითხების სიღრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავდროს ნაკლები დრო დაეთმოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ კონსტიტუციური პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აპირებდნენ პრაქტიკული კომპონენტების კრედიტების რაოდენობის გაზრდას. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საქმიანი კომუნიკაციისა და სისხლის სამართლის კურსის უცხო ენაზე სწავლებას, ასევე გეგმავენ სხვა კურსების შეთავაზებასაც უცხო ენაზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ მითითება გააკეთა დაწესებულების სააკრედიტაციო განაცხადზე, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა განხორციელებულიყო მიღწევად რეჟიმში. მან მიუთითა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ან ამ კანონის 66¹-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის 5 წელზე ნაკლები ვადით აკრედიტაციის შესახებ.

ამასთან, მისი განმარტებით, აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები ვრცელდებოდა მხოლოდ აღნიშნულ სტუდენტებზე. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი საბჭოს რეკომენდაციას უწევდა, ამ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულიყო 2 წლის ვადით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს და პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, მათ შორის თეორიული კურსების ფარგლებში რაც პრაქტიკული უნარების განვითარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხო ენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით.

- სასურველია, სასწავლო კურსების ფარგლებში გაიზარდოს საკითხების სიღრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავედროს ნაკლები დრო დაეთმოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ კონსტიტუციური პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 7¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

20. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ მითითება გააკეთა დაწესებულების სააკრედიტაციო განაცხადზე, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა განხორციელებულიყო მიღევად რეჟიმში. მან მიუთითა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ან ამ კანონის 66¹-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის 5 წელზე ნაკლები ვადით აკრედიტაციის შესახებ.

ამასთან, მისი განმარტებით, აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები ვრცელდებოდა მხოლოდ აღნიშნულ სტუდენტებზე. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი საბჭოს რეკომენდაციას უწევდა, ამ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულიყო 2 წლის ვადით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს და პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, მათ შორის თეორიული კურსების ფარგლებში რაც პრაქტიკული უნარების განვითარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით სასურველია გაძლიერდეს უცხოენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხოენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით.

- სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში, გაიზარდოს საკითხების სიღრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავდროს ნაკლები დრო დაეთმოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ კონსტიტუციური პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 7¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

21. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების“ საფაკულტეტო სავალდებულო კურსი ისწავლებოდეს არა დამამთავრებელ კურსზე, არამედ პირველ დონეზე, I ან II სემესტრში, რათა სტუდენტმა საბაზისო ცოდნა მიიღოს კვლევის მეთოდებზე და შეეძლოს კვლევის ჩატარება და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება;

- სასურველია, სტატისტიკის კურსმაც ქვედა საფეხურზე გადმოინაცვლოს, რადგან სოციალური მეცნიერებების დაუფლება სწორედ, ამ კურსით იწყება;

- სასურველია, სასწავლო გეგმაში მკაფიოდ გაიმიჯნოს საკონტაქტო საათების განაწილება – რამდენი დრო ეთმობა ლექციას და რამდენი ჯგუფში მუშაობას;

- სასურველია, სილაბუსებში, შეფასების ფორმაში გაიმიჯნოს აქტივობისა და რეფერატის ან პრეზენტაციის ქულა;

- სასურველია, საფაკულტეტო სავალდებულო კურსს „სოციოლოგია“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „სოციოლოგიის შესავალი“ ან „სოციოლოგიის საფუძვლები“, რადგან შეუძლებელია ერთი საგნის ფარგლებში ისწავლებოდეს მთელი დარგი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებს ეთანხმებოდნენ ნაწილობრივ, დაწესებულება გეგმავდა პირველი და მეორე რეკომენდაციების გათვალისწინებას, ასევე, საფაკულტეტო სავალდებულო საგნისათვის „სოციოლოგია“ სახელწოდების შეცვლას. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას სილაბუსებში შეფასების ფორმაში აქტივობისა და რეფერატის ან პრეზენტაციის ქულის გამიჯვნის თაობაზე, მისი განცხადებით, დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა შეფასების ფორმებიც და მეთოდებიც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების“ საფაკულტეტო სავალდებულო კურსი ისწავლებოდეს არა დამამთავრებელ კურსზე, არამედ პირველ დონეზე, I ან II სემესტრში, რათა სტუდენტმა საბაზისო ცოდნა მიიღოს კვლევის მეთოდებზე და შეემდოს კვლევის ჩატარება და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება;

- სასურველია, სტატისტიკის კურსმაც ქვედა საფეხურზე გადმოინაცვლოს, რადგან სოციალური მეცნიერებების დაუფლება სწორედ, ამ კურსით იწყება;

- სასურველია, სასწავლო გეგმაში მკაფიოდ გაიმიჯნოს საკონტაქტო საათების განაწილება – რამდენი დრო ეთმობა ლექციას და რამდენი ჯგუფში მუშაობას;

- სასურველია, სილაბუსებში, შეფასების ფორმაში გაიმიჯნოს აქტივობისა და რეფერატის ან პრეზენტაციის ქულა;

- სასურველია, საფაკულტეტო სავალდებულო კურსს „სოციოლოგია“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „სოციოლოგიის შესავალი“ ან „სოციოლოგიის საფუძვლები“, რადგან შეუძლებელია ერთი საგნის ფარგლებში ისწავლებოდეს მთელი დარგი;

- მიზანშეწონილია, „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსი“ დაემატოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას;

- მიზანშეწონილია, კურსებს „პოლიტიკური მეცნიერების შესავალი“ და „პოლიტიკური სოციოლოგია“ ეწოდოს „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ და „პოლიტიკის სოციოლოგია“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსი“ პოლიტიკური მეცნიერების შესავლის სახით იყო პროგრამაში, თუმცა, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებაც შეიძლებოდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ მითითება გააკეთა დაწესებულების სააკრედიტაციო განაცხადზე, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა განხორციელებულიყო მიღევად რეჟიმში. მან მიუთითა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე ან ამ კანონის 66¹-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის 5 წელზე ნაკლები ვადით აკრედიტაციის შესახებ.

ამასთან, მისი განმარტებით, აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები ვრცელდებოდა მხოლოდ აღნიშნულ სტუდენტებზე. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი საბჭოს რეკომენდაციას უწევდა, ამ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულიყო 2 წლის ვადით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის - მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის აღწერილობით ნაწილში კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად - „ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში“, რაც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით დასაშვებია, თუმცა სიმარტივის და ლოგიკურობის თვალსაზრისით, სასურველია კვალიფიკაცია იყოს „ფარმაციის ბაკალავრი“.

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის პუნქტში „2.6 დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმი“ აღწერილია ზოგადად სასწავლო კურსის/მოდულის საბოლოო შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, ჩასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ზუსტდეს პუნქტის დასახელება მაგ: „საბოლოო შეფასების კრიტერიუმები“.

- სასურველია, პროგრამის აღწერილობას დაემატოს განმარტება, როგორ მოხდება საბაკალავრო ნაშრომის შეფასება;

- პროგრამაში რამდენიმე კურსი მოცემულია დანაწილებული ზოგადი და კერძო ნაწილების სახით (მაგ: ზოგადი და კერძო ფარმაცოლოგია, ზოგადი და კერძო ფარმაცოგნოზია, ზოგადი და კერძო ბიოქიმია და ა.შ.) - ცალ-ცალკე კურსებად, შესაბამისი სწავლის შედეგებით; სასურველია ეს კურსები გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთიანი ინტეგრირებული კურსის სახით;

- სასურველია, დაიხვეწოს სასწავლო კურსების წინაპირობების ჩამონათვალი (წინაპირობებში მითითებულია ყველა შესაძლო კურსი, რომლებიც ასევე ერთმანეთის წინაპირობებს წარმოადგენს).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, თუმცა, შემოთავაზებული რეკომენდაციაც მისაღები იყო მათთვის. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წამომადგენელმა განაცხადა, რომ ტექნიკური ხასიათის უზუსტობას ჰქონდა ადგილი, რაც გამოსწორდა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების და დაცვის წესი დაწესებულებას ცალკე ჰქონდა გაწერილი, მიღებული და დამტკიცებული რექტორის მიერ.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამის ხელმძღვანელი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად ამ საკითხების გაერთიანებულად სწავლებას. მეხუთე რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 7¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

24. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დამაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მართალია, ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები (როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში) მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობას, რაც პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მიერ განიმარტება როგორც კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმი, მაგრამ ვინაიდან პროგრამის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ „პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა „სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებასთან“ ერთად „პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება“, სასურველია ცალკე გამოიყოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმი.

- მართალია პროგრამის აღწერილობაში პუნქტში „21. სწავლა, სწავლება და შეფასება“ აღნიშნულია, რომ „ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პორტფოლიო, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი“ სასწავლო კურსების შეფასების ფორმებში არ არის გამოყენებული არც ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და არც პორტფოლიო. ამდენად მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „სამედიცინო ბიოეთიკა“ არჩევითი სტატუსი შეიცვალოს სავალდებულო სტატუსით.

- მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება რამდენიმე კლინიკურ ბაზასთან, მათ შორის მრავალპროფილურ სამკურნალო დაწესებულებასთან, სასურველია სასწავლო პროცესში დამატებით ჩაერთოს პროგრამაში არსებული კლინიკური საგნების შესაბამისი პროფილის კლინიკური ბაზები; ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილია ხელშეკრულება კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან, რაც სასურველია დაემატოს საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის პუნქტში „3.2 პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი“ არსებულ ბაზების ჩამონათვალში.

- საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია, რომ „კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზო სამედიცინო განათლებაში. ამ თვალსაზრისით გამოყენებული უნდ აიქნეს სხვადასხვა სირთულის სიმულატორები და კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას. ვირტუალური სასწავლო მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს პაციენტთა უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვნად განტვირთავს სამკურნალო დაწესებულებებს სტუდენტთა დიდი ჯგუფებისგან, რომლებიც პაციენტთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით ხშირად ვერც კი ახერხებენ ამა თუ იმ კლინიკური ჩვევის გამომუშავებას, განსაკუთრებით სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე.“ თუმცა კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის ასახული ვირტუალური სასწავლო მეთოდების კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამების გამოყენება.

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის პუნქტში „2.6 დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმი“ აღწერილია ზოგადად სასწავლო კურსის/მოდულის საბოლოო შეფასების კრიტერიუმები. სასურველია ჩასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომა დაზუსტდეს პუნქტის დასახელება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შესაბამისი ჩანაწერი იყო, თუმცა, სილაბუსებში არ ჰქონდათ მითითებული, პროგრამა ექვს ნაწილიანი იყო და მთლიანობაში 360 კრედიტს ითვალისწინებდა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სხვადასხვა ბაზასთან ჰქონდა ხელშეკრულება დადებული და პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პრაქტიკულ კომპონენტს. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცლოთ პრაქტიკა. დაწესებულება გეგმავდა ახალი ტექნიკის შემენასაც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

-მართალია ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები (როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში) მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობას, რაც პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მიერ განიმარტება, როგორც კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმი, მაგრამ ვინაიდან პროგრამის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ „პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა „სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებასთან“ ერთად „პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება“, სასურველია ცალკე გაიმიჯნოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმი.

-მართალია, პროგრამის აღწერილობაში პუნქტში „21. სწავლა, სწავლება და შეფასება“ აღნიშნულია, რომ „ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პორტფოლიო, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი“ სასწავლო კურსების შეფასების ფორმებში არ არის გამოყენებული არც ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და არც პორტფოლიო.

-რადგან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში დარგობრივ კომპეტენციებში აღწერილია, რომ კურსდამთავრებულს „აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა“, ამდენად მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „სამედიცინო ბიოეთიკა“ არჩევითი სტატუსი შეიცვალოს სავალდებულო სტატუსით.

-საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის პუნქტში „2.6 დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმი“ აღწერილია ზოგადად სასწავლო კურსის/მოდულის საბოლოო შეფასების კრიტერიუმები. სასურველია ჩასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომა დაზუსტდეს პუნქტის დასახელება.

-სასურველია დაიხვეწოს სასწავლო კურსების წინაპირობების ჩამონათვალი (წინაპირობებში მითითებულია ყველა შესაძლო კურსი, რომლებიც ასევე ერთმანეთის წინაპირობებს წარმოადგენს).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. მისი თქმით, დაწესებულებას სხვადასხვა ბაზასთან ჰქონდა ხელშეკრულება დადებული და პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პრაქტიკულ კომპონენტს. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცნოთ პრაქტიკა. დაწესებულება გეგმავდა ახალი ტექნიკის შეძენასაც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები:

- უნივერსიტეტი სპეციალობით მომუშავე სტუდენტს პრაქტიკას 10 კრედიტის მოცულობით უთვლის გავლილად. გაუგებარია როგორ და რა კრიტერიუმებით ხდება ამ დროს შეფასება. გარდა ამისა, ასეთი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-4 მუხლის 1 პუნქტის დებულებებთან.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება საკითხთან დაკავშირებით. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის 16 კრედიტი მოდის პრაქტიკულ კომპონენტზე, 6 - საქმიან მოლაპარაკებებზე და 10 - პრაქტიკაზე. კრედიტების ჩათვლასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს დამტკიცებული ჰქონდა სპეციალური წესი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ამ კრედიტების აღიარება. აღნიშნულის დანერგვის მიზეზი იყო დასაქმებული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება. ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებით, პროგრამაში არსებული ჩანაწერი საკითხის შესახებ დაზუსტდა აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა მინისტრის ბრძანებას, თუმცა, რადგან საკითხის დაზუსტება ვიზიტის დროს მოხდა, ექსპერტებმა რეკომენდაციის სახით ჩამოაყალიბეს თავიანთი მოსაზრება. მაგისტრატურის დებულებაში ეს წესი სწორად იყო ფორმულირებული, პროგრამაშიც ჩასწორდა რეკომენდაციის გაწევის შემდეგ.

მისი თქმით, რადგან ამ პროგრამით სტუდენტების გამოშვება არ მომხდარა და ფაქტი რეალურად არ დამდგარა, და მხოლოდ პირველკურსელები ჰყავთ ამიტომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ იყო გამოსწორებადი და რეკომენდაციის ფორმით გასათვალისწინებელი.

- სასურველია ძირითადი სამტატო ერთეულის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეები და საათები ყოველი სემესტრის დასაწყისში იკვრებოდეს ფაკულტეტის მიმართულებების საინფორმაციო დაფებზე, რათა პროგრამის სტუდენტისთვის ეს განრიგი იყოს საჯარო და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. ასეთი განრიგის არსებობა, გაადვილებს შიდა მონიტორინგის ან სხვა ადმინისტრაციული სამსახურის მიერ აკადემიური პერსონალის სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგის შესრულების მონიტორინგს.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაცია იყო განთავსებული, რეკომენდაციასაც გაითვალისწინებდნენ და გამოაკრავდნენ დაფაზეც.

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოიფარგლოს ლოკალური კონფერენციებით, მოახდინოს ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიიღოს მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შემოთავაზებულ სტიპენდიებსა და გრანტების კონკურსებში;

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა 3-4 რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

- სასურველია აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ისე, როგორც უნივერსიტეტში მოქმედ სხვა პროგრამებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც უკეთეს პირობებს შექმნიდა შესაბამისი პროგრამების განვითარების, მათი საჭიროებების ადექვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;

თავმჯდომარემ განმარტა, რომ მნიშვნელობა არ აქვს სტანდარტის დარღვევის ფაქტი უკვე დადგა თუ არსებობს საფრთხე რომ სამომავლოდ დადგეს, თუ დარღვევა გამოვლინდა, მიზანშეწონილი არ იყო მისი რეკომენდაციის ფორმით ჩამოყალიბება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დებულებაში ეს უკვე იყო გათვალისწინებული და დარეგულირებული, თუმცა პროგრამაში არ იყო გადმოტანილი და ექსპერტის რეკომენდაცია სწორედ ის იყო, დებულების ეს პუნქტი ასახულიყო პროგრამაში, რაც გაითვალისწინეს.

საბჭომ ადგილზე გადაამოწმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერწარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სასურველია, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ისე, როგორც უნივერსიტეტში მოქმედ სხვა პროგრამებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც უკეთეს პირობებს შექმნიდა შესაბამისი პროგრამების განვითარების, მათი საჭიროებების ადექვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;

2. არსებული წინაპირობით ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება ეზღუდებოდა ისეთ პირებს, რომლებსაც აქვთ მოპოვებული მაგისტრის ხარისხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან სოციალურ მეცნიერებებში, რაც გამართლებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ ასეთი შეზღუდვის დაწესება, მათ ინტერესებში არ შედიოდა სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულის მიღება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებული იყოს უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსი, რათა სტუდენტმა შეძლოს მათგან არჩევანის გაკეთება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამაში არსებული საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები, უმჯობესია, გათვალისწინებულ იქნეს პირველ 3-4 სასწავლო სემესტრში და არა მე-7 და მე-8 სემესტრებში, როდესაც სტუდენტი ფოკუსირებულია სპეციალური დისციპლინების შესწავლასა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე;

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების დასახელებაში სიტყვის - შესავალი ნაცვლად უმჯობესი იქნებდა სიტყვა - საფუძვლების ხმარება, რადგან შესავალი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შემდგომში უნდა მოხდეს გაღრმავება, რა ფაქტობრივად შეუძლებელია ბაკალავრიატის ფარგლებში;

- მიზანშეწონილია, თვალსაჩინოების მიზნით, სასწავლო გეგმაში (დანართი 1) აისახოს დამატებითი სპეციალობის კრედიტების სემესტრული განაწილება (5-5-10-10-15-15);

- სასწავლო გეგმაში მე-10 სვეტში წარმოდგენილია გრაფა - შემაჯამებელი ნაშრომი, რაც ფაქტობრივად ყველა სასწავლო კურსშია გათვალისწინებული ამა თუ იმ სახით. სასურველია, რომ სასწავლო გეგმას დაერთოს შენიშვნა, სადაც მითითებულ იქნებოდა შემაჯამებელი ნაშრომის ნაირსახეობათა (პროექტი, პრეზენტაცია და ა.შ.) ჩამონათვალი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არჩევითობის საკითხი შეეხება მხოლოდ საუნივერსიტეტო საგნებს, რომელიც არ აყალიბებს პროფესიულ სპეციალიზაციას, თუმცა, მათი გადატანა საწყის სემესტრებში შესაძლებელია. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს გემოვნების საკითხია, რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, იგი გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

30. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ვინაიდან, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს ეკონომიკის მიმართულებას, უფრო კონკრეტულად კი მაკროეკონომიკის შემადგენელი კომპონენტია, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია საგანმანათლებლო პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს ამ მიმართულების საგნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, ამ პროგრამით ისწავლებოდეს ისეთი საგნები, როგორიცაა მიკროეკონომიკის მეორე დონე (10 კრედიტი), მაკროეკონომიკის მეორე დონე (10 კრედიტი), ეკონომეტრიკის მეორე დონე (5 კრედიტი);

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოიფარგლოს ლოკალური კონფერენციებით, მოახდინოს ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიიღოს მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შემოთავაზებულ სტიპენდიებსა და გრანტების კონკურსებში;

- პროგრამა სუსტადაა ორიენტირებული ინტერნაციონალიზაციაზე, რამდენადაც იგი გარდა პროგრამის მოდერნიზებული სტრუქტურის ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემასა (ECTS) და სწავლების შესაბამისი დონის ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების მეტ-ნაკლები გათვალისწინებისა, არ გულისხმობს სხვა სახის ინტერნაციონალიზაციის ფორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროგრამის აღმასრულებელი აკადემიური პერსონალის დაინტერესება უცხოეთთან სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტებით, რაც უნდა ითვალისწინებდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობას სასწავლო პროცესებში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მობილობას უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პროცესებში, როგორც სწავლის, ისე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაწესებულებას აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია არა ჩარჩო მემორანდუმის ხელშეკრულების ქონა, არამედ უნდა ვლინდებოდეს ქმედითი და ეფექტური თანამშრომლობა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

31. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასწავლო გეგმით საგანი ეკონომეტრიკა ისწავლება მესამე სემესტრში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის პარალელურად, ხოლო სტატისტიკის საფუძვლები კი მეორე სემესტრში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში მოხდეს გადანაცვლება ისე, რომ მეორე სემესტრში სტუდენტებმა ისწავლონ ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მესამე სემესტრში სტატისტიკის საფუძვლები და შემდეგ მეოთხე ან მეხუთე სემესტრში ეკონომეტრიკა. სასწავლო კურსების ასეთი განლაგება გაცილებით გაუადვილებს მათ ამ რთული რაოდენობრივი კურსების ათვისებას და უკეთ იქნება უზრუნველყოფილი ლოგიკური თანმიმდევრობა სასწავლო კომპონენტებს შორის;

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოიფარგლოს ლოკალური კონფერენციებით, მოახდინოს ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიიღოს მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შემოთავაზებულ სტიპენდიებსა და გრანტების კონკურსებში;

- პროგრამა სუსტადაა ორიენტირებული ინტერნაციონალიზაციაზე, რამდენადაც იგი გარდა პროგრამის მოდერნიზებული სტრუქტურის ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემასა (ECTS) და სწავლების შესაბამისი დონის ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების მეტ-ნაკლები გათვალისწინებისა, არ გულისხმობს სხვა სახის ინტერნაციონალიზაციის ფორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროგრამის აღმასრულებელი აკადემიური პერსონალის დაინტერესება უცხოეთთან სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტებით, რაც უნდა ითვალისწინებდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობას სასწავლო პროცესებში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მობილობას უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პროცესებში, როგორც სწავლის, ისე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაწესებულებას აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია არა ჩარჩო მემორანდუმის ხელშეკრულების ქონა, არამედ უნდა ვლინდებოდეს ქმედითი და ეფექტური თანამშრომლობა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

32. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ტელეკომუნიკაციის პროგრამის მაგისტრანტთა საწარმოო პრაქტიკის ბაზების კიდევ უფრო გაფართოება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

33. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია სპეციალური საგნების შესწავლის პროცესში გამოყენებული იქნეს თანამედროვე სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების მართვის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული კომპიუტერული ინტერნეტ-ტექნოლოგიები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

34.შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- წარმოგენილი პროგრამის ფარგლებში სასურველია მოხდეს შემადგენელი კომპონენტების სტატუსის კორექცია, კერძოდ,
 - სასურველია დისციპლინას საზღვარგარეთის ქვეყნების სტატუსი სავალდებულოდან შეიცვალოს არჩევითით, მისი პოზიცია (სავალდებულო) დაიკავოს ლიტერატურის ისტორიის ძირითადმა ეტაპებმა და შეიცვას ლიტერატურათმცოდნეობის კურსებით დიაქრონიული პრინციპით;
